სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

04 ივნისი, 2025 წ.

# ბრძანება N 01-02/114

„აგროსტიპენდიის“ მიმღები ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრარული ტექნოლოგიების ” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შესარჩევი კონკურსის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, „ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/58 გადაწყვეტილების, სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის 2025 წლის 19 მაისის N 01/1/773 კორესპონდენციის (ბსუ-ში რეგისტრირებული 21.05.2025. N556487), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს“ (შემდგომში - „ცენტრი“) და „აგროსტიპენდიის“ ნომინაციების ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ ბსუ-ს შორის 2025 წლის 03 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N 03/06/2025, N617521) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი **2024-25 სასწავლო წლის გაზაფხულის** სემესტრში „აგროსტიპენდიის“ (ერთჯერადად **1000 ლარი**) მიმღები ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის **„აგრარული ტექნოლოგიების“** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის **2 სტუდენტის** შესარჩევად.
2. სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან“ გაფორმებული **„აგროსტიპენდიის“** ნომინაციების ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებით „აგროსტიპენდიის“ მოსაპოვებლად **კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:**

ა) <u>2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში</u> უნდა ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი;

ბ) კანდიდატს სწავლის პროცესში დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ **60 კრედიტი** და მისი საშუალო სარეიტინგო ქულა არ უნდა იყოს 81-ზე ნაკლები (უპირატესობა მიანიჭება უფრო მაღალი ქულების მქონე სტუდენტს);

გ) კანდიდატმა ფაკულტეტის დეკანს უნდა წარუდგინოს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სარეკომენდაციო წერილი;

დ) უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომლებსაც წარდგენილი აქვთ სამეცნიერო ნაშრომი საუნივერსიტეტო კონფერენციაზე და დაიმსახურა მაღალი შეფასება.

3. წინამდებარე ბრძანების აღსრულებისათვის **ბსუ-ს ტექნოლოგიურმა ფაკულტეტმა უზრუნველყოს:**
ა) ,,აგროსტიპენდიის" შესარჩევი პროცესის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება სავარაუდო კანდიდატებისათვის (სტუდენტებისათვის), მათ მიერ ამ ბრძანებაში აღნიშნული საკონკურსო პირობების შესაბამისად ინფორმაციის/დოკუმენტაციის **ბსუ-ს პორტალის მეშვეობით** წარმოდგენის მიზნით განესაზღვროთ ვადა **2025 წლის 11 ივნისის ჩათვლით;**
ბ) ,,აგროსტიპენდიის" მიმღები კანდიდატების შერჩევის მიზნით ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით კომისიის შექნა;
გ) კანდიდატების შერჩევის შედეგების შესახებ და აგროსტიპენდიის დანიშვნის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის მიზნით **სამსახურებრივი ბარათის წარდგენა რექტორისათვის - არაუგვიანეს 2025 წლის 17 ივნისისა;**
დ) „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრიდა მიღებული დაფინანსების შესაბამისად, ბსუ-ს სტუდენტებისათვის აგროსტიპენდიის ჩარიცხვის თაობაზე ინფორმაციის და დოკუმენტაციის წარდგენა ბსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის.
4. **ბრძანება განთავსდეს** ბსუ-ს ტენოლოგიური ფაკულტეტის **საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე** (ველში ,,კონკურსები'', ,,ფაკულტეტის სიახლეები'').
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

**ბსუ-ს რექტორი** **ტიტე არუშიძე**